ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1212044

ნომერი: AR1207859

თარიღი : 27.03.2014

გაცემის თარიღი : 08.04.2014

გაცნობის თარიღი : 09.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელ ყაჰრემანი გარგარი პ/ნ 01092000276
- თბილისი შუამთის ქ. N 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის ღია კაფისა და დეკორატიული ობიექტის განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, სადგური ლილო №51/სადგური ლილოს მიმდებარედ, სამსახურის მიერ 19.03.2014წ. №1176594 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ შპს "ნაქა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №005/048) I კლასის ღია კაფისა და დეკორატიული ობიექტების განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის ნებართვას.პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882011065071 18.02.2011წ. საკადასტრო კოდი №01.19.15.005.048; საკადასტრო გემგაზე მონიშნული ესკიზური გეგმა; თანამესაკუთრის თანხმობა; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, სადგური ლილო №51/სადგური ლილოს მიმდებარედ, სამსახურის მიერ 19.03.2014წ. №1176594 გადაწყვეტილებით თანხმობით გაცემულ შპს "ნაქა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №005/048) I კლასის ღია კაფისა და დეკორატიული ობიექტების განთავსების კორექტირებული ესკიზური ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ ღია კაფე და დეკორატიული ობიექტები განთავსდეს შპს "ნაქა"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.